



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030476109034520

№ 04-23/თ

16 / იანვარი / 2020 წ.

**„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“
გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტში, 2020
წლის 1 მაისიდან, დაწესებულებების ჩართულობისათვის შესავსები კითხვარის
ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 23-ე მუხლის 52-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 15 იანვრის N01/388 წერილის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტში, 2020 წლის 1 მაისიდან, დაწესებულებების ჩართულობისათვის შესავსები კითხვარი (დანართი N1) (შემდგომში – კითხვარი);
- ბ) კითხვარის შევსებისა და წარდგენის წესი (დანართი N2) (შემდგომში – წესი).

2. სამედიცინო დაწესებულებები, რომლებსაც სურვილი აქვთ, 2020 წლის 1 მაისიდან მონაწილეობა მიიღონ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტში, თვითმმართველ ქალაქებში - თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, ვალდებული არიან, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) წარადგინონ შევსებული კითხვარი (ამ ბრძანების დანართი N1), ელექტრონული და ქალაქმმართველის ფორმით, არაუგვიანეს 2020 წლის 1 თებერვლისა (2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით).

3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ.გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/ გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, დირექტორის აპარატის, სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (თ. აბალაძე), ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის თარიღიდან.

